პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977 სამშაბათი 13 სექტემბერი № 214 (16954) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

უკრაინელ მზვნელ-მთესველთა დიდი შრომითი გამარჯვება

სამშობლოს გელლებში უკვე დაგროვებულია 18 მილიონ 150 ათასი ტონა, ანუ მილიარდ 108 მილიონი ფუთი მარცვლეული.

უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი
ამხანაგ ვ. ვ. ფიტენკოს
უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
ამხანაგ ა. ფ. ტაბაჩნიკოს
უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭო
ამხანაგ ა. ვ. ლიპატოს

ძვირფასო ამხანაგებო! დიდ კმაყოფილებას მანიჭებს მხურვალედ და გულითადად მივესალმო უკრაინის კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სპეციალისტებსა და მეცნიერებს, სასოფლო-სამეურნეო და დამამზადებელი ორგანოების მუშაკებს, სატრანსპორტო ორგანიზაციათა, სასწავლებელთა, სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკებს, ყველა მშრომელს, და მივულოცო მუშაობის დამაკვრელ-ულ ბანზე — მარცვლეულის წარმოებაში მოპოვებული შესანიშნავი გამარჯვება.

რესპუბლიკის მიწათმოქმედებმა ქვეყანა გაახარეს უხვი მოსავლით, წარმატებით შეასრულეს მარცვლეულის წარმოების სოციალისტური ვალდებულებანი, სახელმწიფოს მიჰყიდეს მილიარდ ას მილიონ ფუთზე მეტი პური. ამდენი მარცვლეული რესპუბლიკაში პირველად დამზადდა. სასიხარულოა აღინიშნოს, რომ უკრაინის ყველა ოლქმა შეასრულა სახელმწიფოსადმი პურის მიყიდვის ვალდებულებანი.

უკრაინელ მზვნელ-მთესველთა წარმატება კარგი საჩუქარია ნაშრომლოსადმი მისი სახელოვანი იუბილეს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის წელს, მნიშვნელოვანი წელილია პარტიის XXV ყრილობაზე დასახული სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის შესასრულების საქმეში. უკრაინის კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკების, ყველა მშრომელის გარჯის, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შედეგად ახალი დიდი ნაბიჯი გადაიდგა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკის განხორციელების გზაზე.

მარცვლეულზე ქვეყნის მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილებისათვის ბრძოლა იყო და არის თითოეული რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის უმნიშვნელოვანესი ამოცანა, ჩვენი საერთო-სახალხო საქმე. უკრაინა სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ მთავარ ბელოდ მოკავშირე რესპუბლიკების ძმურ ოჯახში. გამოვთქვამ რწმენას, რომ უკრაინის სს რესპუბლიკის მშრომელები არ დასჯერდებიან მიღწეულს, ეფექტიანად გამოიყენებენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, მზარდ აღჭურვას, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების საფუძველზე კიდევაც გაზრდიან მარცვლეულის მთლიან მოსავალს, წლითიწლობით სულ უფრო მეტ პურს დაანაბავენან სამშობლოს ბეღლებში, კიდევ უფრო გაუსწრდიან ბაჭრის ჭარხლის, მზესუმზირას, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილისა და სხვა კულტურების წარმოებას, დაანჭარებენ მეცხოველეობის განვითარებას.

უკრაინელ მშრომელებს სულითა და ვულით ფუსურვებ ნაბიჯშოდ დაემთავრებინოთ სასოფლო-სამეურნეო წელი, წარმატებით შეასრულებინოთ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსადმი მიყიდვის გეგმები და ვალდებულებები, მიეღწიოთ ახალი მიზნებისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, საიმედო საფუძველი ჩაეყაროთ ხუთწლედის მესამე წლის უფრო ფაქტიანი და ხარისხოვანი მუშაობისათვის, დიდ წარმატებებს ვისურვებთ, ძეძინოსანი ამხანაგებო!

ლ. ბრეჟნევი

ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა კ. ვალდჰაიმს

12 სექტემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა კრემლში მიიღო ვაინრიხიანეული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი კურტ ვალდჰაიმი, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად არის ჩამოსული სსრ კავშირში, სურაბაზე ყოფნის ტვლეფოტა.

ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი თანამიმდევრულად ილებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესის გაღრმავებისა და მსოფლიოს ყველა რაიონში მეზი ეფექტიანი ბრძოლის, ეს ეხება ლენინგრადის ბლოკადის, ან ვალდჰაიმს გაგონილ პრაქტიკული ღონისძიებები, რომლებსაც სსრ კავშირი სხვა ქვეყნებთან ერთად ახორციელებს ამ მიზნებისაკენ წინსვლის ინტერესებისათვის.

საუბარში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ამას, რომ საჭიროა რაც საჭიროა ეს მაგ გასნორციელდეს. ევროპელ ერებს შეეფერებოდა ევროპელ ერებს ევროპელ ერებს ევროპელ ერებს

ჩვენი ცხოვრების პირითადი კანონი

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა

საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვა ბორჯომში

დასვენება... ჩვენს ქვეყანაში დაუმადლებელი წოლა-ზვედრია მშრომელი კაცისა. იგი დაკანონებულია კონსტიტუციით. წელს ამ უფლებით ეხეოლოდ ბორჯომში ათეულ ათასობით მშრომელი სარგებლობს ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა კუთხიდან. მათ ემსახურება სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, ტურისტული ბაზები, სასტუმროები. ზოგი მათგანი ახალაშენებულია. ამ სამწვანეში ხარაჩოებიც ბევრგან მოჩანს, ფერდობებზე ხარორმებიანთ გადმომდგარან ამწეები.

ჟურორტი ამაყობს მოზღვავებული სასურველი სტუმრებით. ეს ის ადამიანებია, რომლებსაც დასვენების ამ დღეებშიც, ბუნების ამ ზღაპრულ გარემოცვაშიც, როცა შრომით გადაღლილ ორგანიზმს იკაჟებენ, ჯონებიდან არ შორდებათ ფიქრი და ზრუნვა თავიანთ სამუშაო ობიექტებზე. რასაც კარგს ნახავენ და შენიშნავენ, სურთ მიიტანონ თავიანთი შრომითი კოლექტივის ყურამდე, საერთო, საყოველთაო კუთვნილება გახადონ.

უთუოდ ეს სურვილი, ეს სულიერი მოთხოვნილება უკარნახებდა ბორჯომში დასასვენებლად ჩამოსულ ჩვენი სახალხო მეურნეობისა და კულტურის თითქმის ყველა დარგში მომუშავე ადამიანებს, რომ დიდი სიამოვნებით დათანხმდნენ შეხვედროდნენ ბორჯომის რაიონის პარტიულ და სამეურნეო აქტივს, ემსჯელათ კონსტიტუციის პროექტის შესახებ, ერთმანეთისათვის გაეზიარებინათ, თუ რა გეგმები აქვთ დასახული დიადი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახვედრად.

ეს იყო მართლაც ბუნებრივი, საქმიანი შეხვედრა. სუბერები იყო მოკლე და კონკრეტული, ყველა საკუთარი საქმიანობის კუთხით განიხილავდა კონსტიტუციის პროექტს და აუდიტორიას აცნობდა თავისი წილი საქმიანობის არსსა და სიახლეებს.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების ლექტორთა ჯგუფი, პარტიის ბორჯომის რაიკომი და გაზეთი „კომუნისტის“ რედაქცია. ბორჯომის რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივთან ერთად მასში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა რ. დვალმა, გ. ჩიტაიამ, ი. მიქელაძემ და ო. ღუდუშაურმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. გუნიამ, თბილისის საავიაციო ქარხნის დირექტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა ი. ხვედელიანმა, „თბილგვირაბმშენის“ უფროსმა ვ. გოცირიძემ, „თბილგვირაბმშენის“ მთავარმა ტექნიოლოგმა, სოციალისტური შრომის გმირმა ნ. ესაკიამ, ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა გ. ხუნდაძემ, ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა კ. ჩარკვიანმა, დოცენტმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მასწავლებელმა მ. ბურჭულაძემ, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ვ. ანთაძემ, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. შხვცაბაიამ, ჟურნალ „მნათობის“ მთავარმა რედაქტორმა გ. ნატროშვილმა, გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორმა მ. დავითაშვილმა, დირიჟორმა დ. მირცხულავამ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ი. ტაბალუაძ, პარტიის ორგონიკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა მ. დევდარიანმა, პარტიის ბიათურის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ნოზაძემ, პარტიის გალის რაიკომის მდივანმა კ. ზაქარაიამ, საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ გენერალურმა დირექტორმა ა. ხუროძემ, თბილისის ტრანსტოლეოგიისა და ორთოპედიის კლინიკური საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა კ. ბორჯაძემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა დ. შავდიამ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლექტორმა, დოცენტმა ა. ციციაშვილმა.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვა მოიწყო პარტიის ბორჯომის რაიკომის სხდომათა დარბაზში, მისი თემა იყო — სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი და მზადება დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის.

— დღეგანდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვა, — აღნიშნა თავის გამოსვლაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლექტორმა, დოცენტმა ლ. ნაჭყებიამ, — განსაკუთრებით აღსანიშნავია იმიტომ, რომ მასში რაიონის აქტივთან ერთად მონაწილეობენ რესპუბლიკის გამოჩენილი ადამიანები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, წევრობის კანდიდატები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის მოღვაწეები, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები. უფრო აღსანიშნავია, ის, რომ ამ ადამიანებმა ჟურორტზე დასვენების დღეებში გამონახეს დრო და დიდი მონდომებით მიიღეს მონაწილეობა რაიონის ასეთ თვალსაჩინო დღეურ-პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობაში.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვა მრავალფეროვანი იყო, ყოველ თეორიულ განზოგადებას თან სდევდა, განამტკიცებდა პრაქტიკიდან აღებული კონკრეტული მაგალითები, საღად, გასაგებად იყო ნათქვამი და ნაჩვენები, ის დიდი, პრინციპული ცვლილებები, რომლებიც ოქტომბრის რევოლუციიდან დღემდე ჩვენი ცხოვრების ყველა მხარეს შეეხო და განაპირობა განვითარებული, მომწიფებული სოციალისტური საზოგადოების აშენება.

სწორედ ამ საკითხთა თეორიულ ახსნასა და ჩვენი რეალობის, კერძოდ, ბორჯომის რაიონის მაგალითებზე კონკრეტული ფაქტების ანალიზსა და განზოგადებას მოიცავდნენ აკადემიკოს ი. მიქელაძის, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის, დოცენტ მ. ბურჭულაძის, პროფესორ კ. ჩარკვიანის, გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორის მ. დავითაშვილის საუბრები.

რაიონის აქტივის პირისპირ რომ იდგნენ და კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებსა და მოვალეობებზე საუბრობდნენ, ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორი გ. ნატროშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ვ. ანთაძე, ვინც იმ დღეებში მათ ბორჯომის უმშვენიერეს ტყეპარკებში შეხვედრია, არ გაუკვირდებოდა, თუ ვიტყვით, რომ ეს საუბარი იმ წუთში არ დაწყებულა, რომ მას წინ უძღოდა პარტიაული საქმეები ჟურორტის მშვენების — ძვირფასი მცენარეების დასაცავად.

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის მე-20 მუხლში, — აღნიშნა მწერალმა გ. ნატროშვილმა — სწერია: **„საბჭოთა სახელმწიფო მიზნად ისახავს გაფართოოს რეალური შესაძლებლობანი მოქალაქეთა მიერ თავიანთი შემოქმედებით ძალების, უნარისა და ნიჭის განვითარებისა და გამოყენებისათვის, პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის“.** ადამიანის სულიერი ცხოვრება არასოდეს არ ასულა ისეთ სიმაღლეზე, როგორც ახლა ჩვენს ქვეყანაში. ახალი ადამიანის აღზრდასა და ჩამოყალიბებაში თავისი წვლილი მოუძღვის ლიტერატურას,

დიდი საუბარი

დღის წესრიგში: კონსტიტუციის განხილვა და დიადი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის მზადება

მწერლობას, მწერლობამ კიდევ უფრო დიდი სიტყვა უნდა თქვას ადამიანის აღზრდაზე. არ უნდა გვყავდეს არცერთი ჩამორჩენილი, უდისციპლინო ადამიანი.

ადამიანს ემსახურება ბუნებაც. ამიტომ მისი დაცვა დღეს მეტად მტკივნეული საკითხია. მთავარია ყოველმა ჩვენგანმა გულთან ახლოს მიიტანოს ეს სამგალობელი საქმე.

სანატორიუმი „ლიკანი“ ერთ-ერთი უმშვენიერესი ადგილია ბორჯომში. ბუნების მაღლიან კალთას აქ ადამიანის გამჭრიახი ონინაც შეუერთდა, და შეიქმნა დასვენებისა და მკურნალობის უბადლო კომპლექსი. ტყე-პარკში ადამიანთა ჯანმრთელობის გასაკეთებლად აღიმართა თეთრი, ქოქესთა შენობები — ნათელი გაკრიალებული ოთახებით, სამკურნალო კაბინეტებითა და საკმარო მოწყობილობით. უზარმაზარ პარკში უამრავმა ახალგაზრდა ხემ მაღლა-მაღლა ამოსწია ტოტები, უამრავი უნიკალური და წლოვანებით დაჯაკაცებული მცენარე გიდმომდგარა ფერდობებზე და გზების გასწვრივ, ბევრ მთგანს ასეული წელი აძევს მხრებზე... აქა-იქ ზოგიერთებს ფუღუროც შეპარვია, ფუძე და მთავარი ტოტი დაბერებია.

—ხეები ზეზეულად კვდებიან, ეს ბუნების კანონია, —საუბრობს პროფესორი ვ. ანთაძე.—ჩვენი ვალია დროზე ვუმკურნალოთ ხეს და გავუხანგრძლივოთ სიცოცხლე ისევ ჩვენსა საკეთილდღეოდ, ჩვენი სიცოცხლის გასახანგრძლივებლად.

მან ჩამოთვალა ხეები, რომლებსაც გადაუდებელი მკურნალობა სჭირდებათ და მოუთხია ადგილებზე, სადაც ისინი დგანან და თუ ადამიანი არ მიეშველა, გახმებიან და მერე, ბუნებრივია, მდგამო დაკარგავს თავის სიმშვენიერეს.

სანატორიუმის (მთავარი ექიმი პ. იოსელიანი) ეზოში მარჯვედ ებრძვიან ხეთა ასეთ ავადმყოფობებს. აქ დაცულია რამდენიმე ხანგაზმული კაკლის ხე, ნიმუში იმისა, თუ როგორ შეიძლება უმკურნალო და სიცოცხლე დაუბრუნო მცენარეს... ასეთ გულისყურს მოითხოვდა მოსაუბრე სხვებისაგანაც, სხვა ადგილებიც არა მარტო ტყე-პარკებში, არამედ საერთოდ ბუნებრივ ტყეებსა და ნაკრძალებში.

როცა რაიონის მშრომელთა წინაშე მდგარ დიდ ამოცანებს, მათი განხორციელებისათვის ბრძოლას ანალიზს უკეთებდნენ, პარტიის რაიკომის მდივანმა მ. სტაკაძემ და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. გობრონიძემ ცოცხალი, ნათელი ფაქტები მოიყვანეს იმისა, თუ როგორი პატრიოტული შრომით ხედებიან რაიონის მშრომელები დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს, როგორი ინტერესით ვაკეცნენ, სწავლობენ და გაანიხილავენ კონსტიტუციის პროექტს. თქვა, რომ კრებებზე, რომლებიც პროექტის განხილვას მიეძღვნა, 2 ათასზე მეტმა მშრომელმა გამოთქვა თავისი აზრი ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონის შესახებ, შემოსულია ასამდე წინადადება, შესწორება და მოსაზრება პროექტის შესახებ.

დიდი გულისყურით უსმენდნენ რაიონის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, სახზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვის ყველა მონაწილე თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დირექტორს ი. ხვედელიანს და „თბილგვირაბმშენის“ უფროსს ვ. გოცირიძეს, ორთავე თავიანთი მუშაობის მდგომარეობაზე ჰყვებოდნენ, იმ სიახლეებს განმარტავდნენ, რომლებიც ამჟამად ინერგება დედაქალაქის ორ დიდ საწარმოში, ჰყვებოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ამ უკანასკნელ წლებში გატარებულ დიდ, ორგანიზატორულ დონისძიებებზე, ერთიან საყოველთაო შრომასა და ბრძოლაზე, რომელიც მიმართულია ჩვენი ცხოვრების ყველა უბანზე — ქალაქად თუ სოფლად.

თბილისის ეს ორი დიდი საწარმო ბორჯომის ახალმშენებლობაში გარკვეულ მონაწილეობას იღებს. როცა სახელოვან დიმიტროველთა წარმომადგენელმა აღნიშნა: ჩვენი ქარხანა ამ ბოლო წლებში გეგმებს მარტო წლის ბოლოს კი კვარტალისა და თვის დასასრულს რიდი ასრულებს, აქამდე ყოველდღიურად, პოლიტიკური კითხვის მონაწილენი ამ დიდი საწარმოს შეფობით ბორჯომში გაშლილ მშენებლობათა თადარიგიან, რიტმულ მუშაობასაც გულისხმობდნენ.

ასევე მახლობელი იყო მათთვის „თბილგვირაბმშენის“ სახელოვანი კოლექტივის მუშაობის მოწინავე გამოცდილების მაგალითებიც. მათი ნახელავიც ამშენებს ბორჯომს და, როგორც თბილგვირაბმშენელები გეპირდებიან, კელავაც დაამშენებს.

დიახ, ბორჯომი დღითიდღე იზრდება, მშენდება, ლამაზდება... ამ სილამაზეზე, ამ მშენებლობებზე, ამ ზრდა-განვითარებაზე, მათს პოლიტიკურ და სამეურნეო უზრუნველყოფაზე, იმაზე, თუ როგორი წარმატებებთან ხვდებიან ჟურორტი ბორჯომი და მისი რაიონის მშრომელები დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს, ბევრი რამ თქვეს ამ დღეს სახზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვის მონაწილეებმა. მაგრამ... აღინიშნა ფაზიზელი თვალით შენიშნული ნაკლოვანებებიც, ყველაფერი ის, რაც თვალს ხვდება და ადამიანებს აწუხებს, მრუმე ლაქად გასდევს ბუნების ნაბოძვარსა თუ კაცის ხელით გამოკვეთილ სიმშვენიერეს... გულახდილად თქვეს რაიონის, ჟურორტისა და მისი ადამიანების დიდი სიყვარულით.

თქვეს, მაგალითად, რომ ქალაქ-ბაღში ჯერ კიდევ ვერ იგრძნობა მისი შესატყვისი, მისი საკადრისი სისუფთავე... ამ უპირველესი საქმისათვის, თუნდაც იმათ მხრიდან, ვისაც ეს ევალება, ისეთი გულისყური ია ზრუნვა, როგორსაც ზეხედება კაცი ლიკანის სანატორიუმის ნაგებობებსა და ტერიტორიაზე. ისიც თქვეს, რომ ამ სანატორიუმშიც სამეოდე წლის წინათ ასე როდი იყო — მაშასადამე, ყველა სამუშაოს მოეკვლება. თუ მონდომება იქნება, თუ მოვალეობის გრძნობა არ მოგასვენებს, თუ გულთან ახლოს მიიტანთ, შეიყვარებ და შეისისხლხორცებ სახლოო საქმეს.

შესანიშნავი მრავალწართოლიანი სასტუმრო წამოიზარდა ბორჯომში, იგი ფრთგაშლილი არწივივით გადმოპყურებს მაჯრის ხეობას, დამსეირნებლები კმაყოფილი არიან ნათელი ოთახებით... მაინცდამაინც არც იმაზე გადოთქვამენ საყვედურს, რომ ზოგჯერ წყალი გაქრება ხოლმე, ან ლიფტი სართულსა და სართულს შუა გაიჩხირება, ხედავენ, რომ მშენებლები კიდევ მუშაობენ, დღითიდღე ასწორებენ ამ ნაკლოვანებებს... მაგრამ ვერა ლა ვერ შარიგებდნენ იმას, რომ მისასვლელი ქუჩის სულ მცირე მონაკვეთი ქვა-ლორღით არის მოხერგილი. იქ სულ ორიოდე დღის სამუშაოა, და იმის გამო, რომ უყურადღებოდ არის მიტოვებული, აგერ მთელი სეზონის მანძილზე სიცოცხლეს უმწარებს ამ ადამიანებს...

ბორჯომის მშენებლებე — მისი საყოველთაოდ ცნობილი პარკი ფანტაზიორებული როდია ადამიანის მოამაგე ხელით. ქუჩებს, ტროსპორტს, სავაჭრო ქსელს, ბაზარს მეტი ყურადღება სჭირდება. რომ ბორჯომში დასასვენებლად, სამკურნალოდ ჩამოსულმა ადამიანებმა მუდამ მადლიერების გრძნობით მოიხსენიონ იგი.

ყველაზე მთავარი პრობლემა მაინც ასე გამოხატეს სახზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვის მონაწილეებმა: **ბორჯომელების უდიდესი პატრიოტული ამოცანაა თვით ბორჯომის სახელისა და დიდების დაცვა.** ეს ნიშნავს: **ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისათვის განხორციელდეს ყველა საჭირო ღონისძიება უძვირფასესი მცენარეული და ცხოველთა სამყაროს მოვლა-დაცვისათვის, ჰაერისა და წყლის სიდიადისა და სიწმინდის შენარჩუნებისათვის, ბუნებრივ სიმდიდრეთა გამრავლებისა და გაუმჯობესებისათვის, კურორტის კიდევ უფრო დამშვენებისათვის.**

დასასრულ მოსმენილ იქნა პროფესორ ი. ტაბალუას და დოცენტ ა. ციციაშვილის საინტერესო საუბრები საერთაშორისო თემაზე.

პოლიტიკურ კითხვაში მონაწილეობდნენ ბორჯომის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ს. ლომძე და პარტიის რაიკომის მეორე მდივანი ჯ. კოპაძე.

სალამის პოლიტიკური კითხვის მონაწილეებმა დაათვალიერეს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საწარმო გაერთიანების ბორჯომის ქარხანა.

გ. თათარიშვილი.

500.000 ტონა ყურძენი — საქმეშობლის მარანში!

შრომის დღესასწაული ალაგნის ველზე

დღითი დღე ფართოვდება ყურძნის მოსავლის აღების საშუშაოთა ფრონტი კახეთში. სულ უფრო მეტი მეურნეობა იწყებს ყურძნის მასობრივ კრეფას. მევენახეები ცდილობენ დამკვრელური შრომით, ახალი წარმატებებით უპასუხონ რესპუბლიკის მეჩიტეთა მოწოდებას — სწრაფად და უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი, თავიანთი წვლილი შეეტანონ რესპუბლიკის მიერ მაღალი ვალდებულების შესრულებაში — საიუბილეო და სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მაღლების წელს დაამზადონ 500.000 ტონა ყურძენი.

თელავი. რაიონის მეურნეობები შეუდგნენ ყორძნის მასობრივ კრეფას. აქ ყოველდღიურად 2.220-2.500 ტონა ყურძენს კრეფენ.

მზის ამოსვლიდან დაღამებამდე კრეფენ ყურძენს სოფელ სანაორის მშრომელები. აქ ყურძნის უხვი მოსავალი მოიწიფეს.

ზუსტად და ერთსულოვნად მუშაობენ ა. ავეაზაშვილის ბრიგადის მევენახეები. 500-600 კილოგრამ ყურძენს კრეფენ ყოველდღიურად ამ ბრიგადის წევრები ტ. მარკოზაშვილი, თ. ავეაზაშვილი და სხვები. 30-40 წუთი, და ვენახს ნელა შორდება ქარგისფერი ყურძენით პირამდე სავსე მანქანა, მის ადგილ მეორე მანქანა იკავებს. ბრიგადამ ვალდებულება იკისრა თავის ნაკვეთზე მოკრიფოს 520 ტონა ყურძენი, გეგმით გათვალისწინებულზე 130 ტონით მეტი. ახლა მის ანგარიშზეა 150 ტონა ყურძენი.

სოფელ სანაორის კოლმეურნეობა ერთ-ერთი უდიდესია რაიონში. მის ვენახს 1.000 ჰექტარზე მეტი უჭირავს, აქედან 650 ჰექტარი სრულმოსავლიანია. კოლმეურნეობა ამ ფართობიდან ყურძენს ალაგნის ველზე, ალაგნის ველზე, ალაგნის ველზე... ეს ადგილი ცნობილია ადრეულ-ადრეულ ყურძენ-ბოსტნეულ-ხილ-ბოსტნეულ-ყურძენ-ბოსტნეულ-ყურძენ-ბოსტნეულ-ყურძენ



ფ. ე. ძერჟინსკის ძეგლს საქირკველი ჩაეყარა

ქუთაისი. ხალხი, მშრომელები, ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მთელი საზოგადოებრიობა ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად უდიდეს პატივს მიაგებენ რევოლუციის უშიშარ რაინდს, ჟანმაბრალ ინტერნაციონალისტს ფ. ე. ძერჟინსკის, რომლის დაბადების მე-100 წლისთავს ამ დღეებში აღნიშნავს მთელი ჩვენი ქვეყანა.

12 სექტემბერს ელბაქიძის ფიზიკურთა სკოლაში ფ. ე. ძერჟინსკის ძეგლის საძირკვლის ჩაყრის ცერემონიაზე შეკრებილმა საქართველოს დედაქალაქის მცხოვრებლებმა მეზობლებმა ბოლშევიკი-ლენინელისადმი უდიდესი მადლიერებისა და დიდი სიყვარულის გრძნობები გამოხატეს.

საზეიმო მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა ფ. ე. ძერჟინსკის ძეგლის საძირკვლის ჩაყრას, მოვიდნენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრთა და დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

— დღეს ქართველი ხალხი, — თქვა მიტინგის გახსნისას თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. ლობჟანიძემ, — ხაძირკველს უყრის დიდი ლენინის თანამებრძოლის — ძერჟინსკის ძეგლს. მთელი მისი ცხოვრება და რევოლუციურ-გარდამქმნელი მოღვაწეობა პარტიისა და ხალხის უანგარო სამსახურის შესანიშნავი მაგალითია, რომელიც შთაგვაგონებს ახალ საგმირო საქმეებს კომუნიზმის ნათელი იდეალების გამარჯვებისათვის.

მიტინგზე გამოვიდნენ თბილისის საწარმოო გაერთიანება „ჩარხშენებლის“ ხარატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი დ. მოსესოვი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. შადური, ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ლ. კოკინაშვილი, პოეტი ჭ. ჩარკვიანი. მათ აღნიშნეს, რომ მშრომელი ადამიანების რევოლუციური ძალისა და აღმშენებლობითი უნარისადმი უსაზღვრო რწმენით გამსჭვალული „რკინის“ ფელიქსის მჩქეფარე მოღვაწეობა მუდამ იქნება კომუნისტთა ახალი თაობებისა და ყველა საბჭოთა ადამიანისათვის სამაგალითო, პატრიოტობის, ლენინის საქმის ერთგულების ნიმუში.

საზეიმო მიტინგი დამთავრდა. მარმარილოს ლოდზე ამოკვეთილია სიტყვები: „აქ აღიმართება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გენერალური მოღვაწის ფელიქს ედმუნდის ძე ძერჟინსკის ძეგლი“.

საპატიო ყარაულში გარინდულან ნორჩი პიონერები, მამების რევოლუციური შრომითი და საბრძოლო ტრადიციების მემკვიდრენი. მარმარილოს ლოდი ნიღაბულებით შეამკეს.

* * *

საზეიმო მიტინგს დაესწრნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გილაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. სირაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გენერალ-პოლკოვნიკი ა. ინაური, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. გურგენიძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ნ. ენდელაძე, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი—პოლიტსამმართველოს უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ა. ოვერჩენკო.

(საინფორმო).

* * *

სურათზე: აქ აღიმართება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწის ფელიქს ედმუნდის ძე ძერჟინსკის ძეგლი.

ფ. პრუსაკოვის ფოტო.

ტანკისტის დღის აღსანიშნავად

საქართველოს მშრომელებმა, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრებმა ფართოდ აღნიშნეს ტანკისტის დღე — 11 სექტემბერი. ოლქის ნაწილებში გაიმართა პირადი შემადგენლობის საზეიმო კრებები, რომლებიც ამ დიდსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა. მოიწყო სპორტული შეჯიბრებები, დიდი სამამულო ომის წლებში სამშობლოს გმირი დამცველებისადმი მიძღვნილი კინოფილმების ჩვენება, ჯარისკაცთა მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების კონცერტები, შრომის კოლექტივებში გაიმართა აგიტატორთა საუბრები.

საინტერესოდ ჩაიარა „ნ“ ნაწილის მეომარ ტანკისტთა შეხვედრამ დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან, რომელიც მოიწყვეს ნაწილის მეთაურთა შემადგენლობამ და თბილისის საბჭოთა არმიის ოფიცერთა სოლ ქო სახლთან არსებული ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების ისტორიის მუზეუმის საბჭომ. ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობის შესახებ დამსწრეთ მოგონებები გაუზიარეს საბჭოთა კავშირის გმირმა, გადამდგარმა მაიორმა ჯ. სიმონიანმა, ხუთგზის წითელი დროშის ორდენის კავალერმა, გადამდგარმა პოლკოვნიკმა მ. ზასეკინმა, გადამდგარმა კაპიტანმა ი. ტატიშვილმა და სხვებმა. (საქინფორმი).

სსრ კავშირ-საფრანგეთის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა

საფრანგეთის ქალაქ ბორდოში ახალი დიპლომსშესანიშნაობა გიგანტური ჰიდროელექტრო წყალსაცავი, რომელიც აქ საბჭოთა სპეციალისტებს დაბარებია ბიელ. ეს აგრეგატი, რომელიც პარიზის ოთხსამშობლის ტაძრის სიმაღლის და ეიფელის კოშკის წონასაა, 65 ათასი ტონის ძალვას ავითარებს.

სსრ კავშირისა და საფრანგეთის მეცნიერულ-ტექნიკურ თანამშრომლობას, უფროსეს კოლეგას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტში, საფუძველად უდევს სრული თანასწორუფლებიანობა და ურთიერთსარგებლიანობა, მის მიზანს შეადგენს ის, რომ ახლა საბჭოთა ორგანიზაციებთან და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებთან საქმიანი კავშირურთიერთობა აქვს ასობით ფრანგულ ფირმას. წარმატებით ხორციელდება, მაგალითად, ერთობლივი კვლევა ატომური ენერგიის დარგში. სერპუხოვის ბირთვული ნაწილაკების მძლავრ აჩქარებელში დადგმულია ფრანგული სპეციალური კამერა „მირაბელი“. ფიზიკოსები მუშაობენ იმ მიმართულებით, რომლებსაც პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ. ორი ქვეყნის თანამშრომლობის მნიშვნელოვანი დარგი გახდა მსოფლიო ოკეანე, სადაც ერთობლივად იკვლევენ ზღვის ბიოლოგიურ რესურსებს. საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის სამეცნიერო დიალაზონი მოიცავს ავრეთვე მედიცინას, გარემოს დაცვას, ინფორმაციის დამუშავებას ავტომატიზაციას და ბევრ სხვა დარგს. კვლევის შედეგების უსწრაფესი რეალიზაციის საქმე.

ოპტიმიზმის უშრეტი წყარო

მსოფლიოს სოციალისტური ეკონომიკური სისტემის ფარგლებში ინტენსიური ინტეგრაციის ეტაპზე ინტერნაციონალური ურთიერთშეჯერებისა და ურთიერთდახმარების ფორმებისა და მეთოდების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებისა და სრულყოფის ამოცანა დგება.

ბ. ბ. ბრეჟნევი

მსოფლიო სოციალისტური სისტემის ეკონომიკური ინტეგრაციის ეტაპზე ინტერნაციონალური ურთიერთშეჯერებისა და ურთიერთდახმარების ფორმებისა და მეთოდების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებისა და სრულყოფის ამოცანა დგება.

ბ. ბ. ბრეჟნევი

ბ. ბ. ბრეჟნევი

**ბ. ბ. ბრეჟნევი



გასულ კვირას, 11 სექტემბერს ერევნის ოლიმპიურ ლამფასანში გაიმართა ტრადიციული სახალხო დღესასწაული „გურამიშვილობა“, რომლის პროგრამაში იყო ხატვები, მხატვრული განყოფილება, სპორტული ახარეზობანი, სახალხო სეირნობა.

სურათზე: ზემოთ — „გურამიშვილობა“ ლამფასანში.

მ. ზარგარიანის ფოტო.





ნაყოფიერად შუამავლობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის რეგიონული სეისმოლოგიის განყოფილების სეისმოლოგიური ობსერვატორიის „თბილისის“ კოლექტივი.

ობსერვატორია ამ ცოტა ხნის წინ შეიქმნა ძირითად ექსპერიმენტულ ბაზად საქართველოს სტაციონარული სეისმური სადგურების ქსელში, როგორც სეისმური ინფორმაციის შეკრება-დამუშავების ცენტრი.

სურათზე: მარჯვნივ — მარცხნიდან: უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი ლ. ლაბაძე, განყოფილების გამგე ო. გოცაძე და უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი ო. ვარაზიშვილი ამუშავებენ კვეკასიაში მაქსიმალურად შესაძლო მიწისძვრების რუკას.

შ. პრმსაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

□ ლამფასანში, გურამიშვილობაზე

□ დგება მიწიძვრების რუკა

□ ახალ სკოლაში

**უკანასკნელ წელიწადს ერთ-ერთ ულამაზესი ადგილი ეკავა ბაკურიანში. ეს ადგილი ეკუთვნოდა ბ. ბ. ბ.